დამტკიცებულია
თსსუ-ის აკადემიური საბჭოს
2018 წლის 19 თებერვლის N24/5 დადგენილებით

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდეგში – თსსუ) სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის კრიტერიუმები

1. სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია:

ა) **ადამიანური (აკადემიური) რესურსი**: თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტის თანაფარდობა, მათ შორის აფილირებული პირების რაოდენობა. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა;

ბ) **მატერიალურ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული რესურსი**

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და ინფრასტრუქტურა სამუშაო დღეებსა და სამუშაო საათებში უნდა იძლეოდეს სწავლა-სწავლების საკმარისი ხარისხით სტუდენტთა მომსახურების საშუალებას, რაც გულისხმობს:

– სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო, სათანადო აღჭურვილობის აუდიტორიების, ლაბორატორიების, სამედიცინო ბაზების, კლინიკების და სხვ. ობიექტების მფლობელობაში ან/და ავტორიზაციის ვადით სარგებლობაში ქონას (შესაბამისი მემორანდუმების და ხელშეკრულებების საფუძველზე);

– სპორტული, შემოქმედებითი და სხვა არასააუდიტორიო აკადემიური აქტივობებისათვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობას;

2. თსსუ-ს თითოეულ საგანამანათლებლო პროგრამაზე უნდა იყოს:

ა) მინიმუმ 5 პროფესორი, ან ასოცირებული პროფესორი, მათ შორის – მინიმუმ ერთი აფილირებული პროფესორი, ან ასოცირებული პროფესორი,

ბ) ერთი პროფესორი, ან ასოცირებული პროფესორი მინიმუმ 30 სტუდენტზე,

გ) მინიმუმ 1 მოწვეული მასწავლებელი 50 სტუდენტზე,

დ) იმ საგანამანთლებლო პროგრამებზე, სადაც სტუდენტთა რაოდენობა აღემატება 1000 სტუდენტს - ერთი პროფესორი, ან ასოცირებული პროფესორი 50 სტუდენტზე, 1 მოწვეული მასწავლებელი 80 სტუდენტზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრისას შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას დამატებითი საფუძვლები, მათ შორის:

ა) **საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნის დინამიკა** - პირველი განაცხადით დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა დადებითი /უარყოფითი დინამიკა.

ბ) **სტუდენტთა განთესვის მაჩვენებელი** - მობილობით გადმოსვლა, გადასვლა, სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა ;

გ) **აკადემიური პროცესის ანალიზი** - საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების (სტუდენტთა გამოკითხვა, სალექციო და პრაქტიკულ ჯგუფში მუშაობის მეცადინეობების მონიტორინგი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება და სხვ.) შედეგები;

დ) **კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და დასაქმების ბაზრის კვლევა** - დამსაქმებლის მოთხოვნისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზის შედეგები.

4. აკადემიური საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს შესაბამის დადგენილებაში მიეთითება საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის მაქსიმალური რაოდენობა.

5. აკადემიური საბჭოს მიერ ყოველწლიურად მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი (ანკეტა-კითხვარი) ამ წესის მ.2–ის პპ.1,2–ის შესაბამისად.

მუხლი 3. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის, ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.